

## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 30 მარტის N-315 ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილების მე-7<sup>ა</sup> მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით მდინარე მაჭახელას, ლეჩასა და ყოროლისწყალში მდინარის კალაპოტში ჭარბი ინერტული ნატანის აკუმულირების უბნებიდან ჭარბი ინერტული მასალის ამოღების მიზნით, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე ავრცელებს ინფორმაციას საჯაროდ გამოცხადების შესახებ, დაინტერესებული პირების განცხადებების მიღებაზე.

განაცხადების მიღება იწარმოებს 2017 წლის 11 მაისიდან 17 მაისი 13:00 საათამდე კ.ბათუმი დიდაჭარის ქ. N23 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში.

წიაღით სარგებლობის ობიექტებია;

- 1) წიაღითსარგებლობის ობიექტი- მდინარე მაჭახლა უახლოესი დასახლებული პუნქტი სოფელი ქედქედი
- 2) წიაღითსარგებლობის ობიექტი- მდინარე მაჭახლა უახლოესი დასახლების პუნქტი აჭარისადმართი
- 3) წიაღითსარგებლობის ობიექტი- მდინარე ყოროლის წყალი უახლოესი დასახლება სოფელი წინსვლა.
- 4) წიაღითსარგებლობის ობიექტი- მდინარე ლეჩა უახლოესი დასახლებული პუნქტი სოფელი ორთაბათუმი.

შენიშვნა გეო საინფორმაციო პაკეტი განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე.

დაინტერესებულმა პირმა განაცხადი უნდა შემოიტანოს და ინტერესი გამოხატოს მხოლოდ ოთხივე ობიექტზე ერთდროულად.

დაინტერესებული პირებმა ვალდებულება უნდა აიღონ წიაღით სარგებლობის ობიექტზე ან/და ობიექტიდან მოშორებით დაიცავონ, ფიქსირებული სხვადასხვა ობიექტის უსაფრთხოება.

დაინტერესებული პირის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს შპს ბათუმი პეტროლიუმის 2017 წლის 20 აპრილის N-3829/05 მომართვით წარმოდგენილი წინადადება,

სს სილქნეტის 2017 წლის 21 აპრილის N3851/05 მომართვით წარმოდგენილი წინადადება და ასევე სხვა მესაკუთრეების ინტერესები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**შენიშვნა** შპს ბათუმი პეტროლიუმის 2017 წლის 20 აპრილის N-3829/05 მომართვა და სს სილქნეტის 2017 წლის 21 აპრილის N3851/05 მომართვა განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ;

1. განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული ) იურიდიული პირების რეესტრიდან.
2. საკონტაქტო მონაცემები.
3. ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ, კერძოდ განმცხადებელს საკუთრებაში ან იჯარით უნდა გააჩნდეს სპეც ტექნიკა.

**შენიშვნა** საკუთრების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, სხვა შემთხვევაში – შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (საიჯარო, თხოვნის ხელშეკრულების ასლ(ებ)ი).

4. ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესახებ
5. მოთხოვნილი ყველა დოკუმენტ(ებ)ი წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე; დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
6. დაინტერესებულმა პირმა განაცხადი უნდა შემოიტანოს და ინტერესი გამოხატოს მხოლოდ ოთხივე ობიექტზე ერთდროულად.

**შენიშვნა** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 30 მარტის N-315 ბრძანებით შექმნილი კომისია ვალდებულდება იღებს განაცხადების წარდგენის ვადის დასრულების დღესვე გამოავლინოს პირი და მომდევნო ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში დასაბუთებული წინადადებით მიმართოს სამინისტროს, საქართველოს მთავრობასთან შუამდგომლობის თხოვნით ჭარბი ინერტული მასალის ამოღებით დაინტერესებული პირის, გარკვეული ვადით, ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე.